

ადრეული შუა საუკუნეების კერამიკული ტარა ნოქალაქევის
ნაქალაქარიდან

/ ტიპოლოგიისა და კლასიფიკაციის საკითხები/

შორენა ხეცურიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო
ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესიკ ლორთქიფანიძე, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი

თანახელმძღვანელი: დავით ლომიტაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

ანოტაცია

ნოქალაქევეში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ამფორები, რომლებიც მომდინარეობს სხვადასხვა საწარმო ცენტრებიდან. არაერთხელ გაკეთდა მათი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის მოდელები. ადგილობრივი წარმოების ამფორებთან ერთად გვხვდება იმპორტული ამფორებიც, რომლებიც განხილულია სხვადასხვა ნაშრომში, სადაც მოცემულია მათი ტიპოლოგია და ქრონოლოგია.

ნაშრომის მიზანია განვიხილოთ ნოქალაქევის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ამფორათა ადგილობრივი ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია „წელშეზნექილი“ ამფორებით და იმპორტული ტანდალარული ამფორები. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ახ.წ. IV-VI საუკუნეებს მოიცავს. მოპოვებული მასალა მიუხედავად დიდი რაოდენობისა, ფრაგმენტების სახით არის ჩვენამდე მოღწეული, გამონაკლისს წარმოადგენს ადგილობრივი „წელშეზნექილი“ ამფორები, რომელიც წარმოდგენილი გვაქვს 22 ცალი მთელი ეგზემპლიარით. ამფორათა ფრაგმენტების სახით აღმოჩენა ართულებს მათი ტიპოლოგიის შექმნას. აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია „წელშეზნექილ“ ამფორათა გენეზისის საკითხები, ასევე მოცემულია ტანდალარულ ამფორათა ტიპები და მათი ქრონოლოგია. ამფორათა ტიპოლოგიისა და ქრონოლოგიის განხილვას წამძღვარებული აქვს რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ასევე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება ახ.წ. IV-VI საუკუნეებისათვის. წარმოდგენილია ასევე დასავლეთ საქართველოში ახ.წ. IV-VI საუკუნეებით დათარიღებული ამფორათა შესწავლის ისტორიოგრაფია. მოკლედ ვეხებით ტიპოლოგიისა და ქრონოლოგიის კვლევის მეთოდებს.

ნაშრომში გამოყენებულია ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოდგენილი ამფორათა მიკროსკოპული კვლევის მეთოდები და შედეგები. მიმდინარეობს სამუშაოები პეტროგრაფიული კვლევების ჩასატარებლად, რომლის შედეგებსაც შემდგომში გაგაცნობთ.

Early medieval period amphorae from Noqalakevi

/ Questions of Typology and chronology /

Annotation

A large quantity of amphorae's are displayed in Nokalakevi, that are coming from the different production centers. Continually was done models of their typological-chronological classification. With local produced amphorae's there are imported once too, that are discussed in various works, where are given their typology and chronology.

The goal of work is to discuss the local group of amphorae's discovered on Nokalakevi Site. They are represented with "back concavity" and with body-seamed amphorae's. Their chronological diapason includes 4-6 cc. A.D. Captured material, in spite of their large quantity, are represented with fragments. By way of an exception are local back concavity amphorae's, that we have 22 the whole items of them. Fragments of amphorae's complicates making their typology. In denoted work is given questions of "back concavity" amphorae's genesis, also is given types of body-seamed amphorae's and their chronology. Before discussion on it, there is given physical-geographical review of region, its social-political and economical condition. Also here is performed research historiography of the West Georgia amphorae's that are dated by 4-6 cc. A.D. There is a short speech about methodology of typological and chronological research.

In work is used microscopical research methods done by Anglo-Georgian archaeological expedition. The work is going to make petrological researches that results will be known later.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I

- § 1. რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.....4
- § 2. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ახ.წ. IV-VI
საუკუნეების ეგრისის სამეფოში.....8
- § 3. საკითხის შესწავლის ისტორიოგრაფია.....13

თავი II

- § 1. ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის კვლევის მეთოდები.....19
- § 2. ნოქალაქეებში გამოვლენილი ადრე შუა საუკუნეების ამფორების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია.....22

3. დასკვნა.....33
- გამოყენებული ლიტერატურა.....36
- ილუსტრაციის აღწერილობა.....39
- ილუსტრაციები.....40